



ზეინაბ ბარნოვი
ZEINAB BARNOVI
ანკა ლატარია
ANKA LATARIA
FOR GEORGIAN
INFUSION
მირიან კილაძე
საქართველოს
ეროვნული მუზეუმი
MIRIAN KILADZE
GEORGIAN NATIONAL
MUSEUM



წიგნი ნინო კვირიკაშვილი

წიგნი NINO KVIRIKASHVILI

ეროვნული სამოსი მხოლოდ ტანსაცმელი არ არის – ისტორიაა, რომელიც ქართველთა წინაპრების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი იყო. ორნამენტებითა და ხელით ნაკერი დეტალებით მოყოლილი ამბები ქართულ იდენტობას ასახავს.

ქსოვილუბი შენახული ისტორია

HISTORY PRESERVED IN FABRIC

ეროვნული სამოსის არაერთი უნიკალური ნიმუში სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის საცავებშია დაცული და განსაკუთრებულ მოვლასა და კვლევას საჭიროებს. სწორედ ამ მემკვიდრეობაზე ზრუნვას, აღდგენას და თანამედროვე საქართველოს ყოველდღიურობის ნაწილად ქცევას ემსახურება პროექტი Georgian Infusion. ის ექსპონატებად ქცეულ სამოსს ახალ სიცოცხლეს ჩუქნის.

რა არის GEORGIAN INFUSION?

ფონდ Georgian Infusion-ის მიზანი საქართველოში ძველი სამოსისა და ტექსტილის მემკვიდრეობის დაცვა, კვლევა და პოპულარიზაციაა. მათი საქმიანობა მუზეუმების, მოდისა და განათლების სფეროებს მოიცავს.

პროექტს მხარს უჭერს საქართველოს კულტურის სამინისტრო და სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“.

ეროვნულ პროექტს, რომლის მიზანაც ქართული ტრადიციული სამოსის გაცოცხლებაა, სიტყვა-სიტყვითი თარგმანი არ აქვს. ალბათ „ინფუზია“ უფრო შესატყვისია. „ქართული ინფუზია“, როგორც ნივთიერების მოლეკულების გაცვლა, შერწყმა. ასე დაიბადა სახელი Georgian Infusion – ქართული ინფუზია.

გარდა ამისა, ინფუზია სისხლის გადასხმასაც ხომ ნიშნავს და ამაში ქართული სისხლის გადასხმაც იგულისხმება...

ნათელა ფოცხვერიას იდეა დიდი ხნის წინ გაუჩნდა, თუმცა პროექტზე მუშაობა 2023 წელს დაიწყო. ბლოგერმა ჟურნალისტმა წლების წინ გადაწყვიტა, რომ საქართველოში ჩამოეტანა „შანელის“ კოლექცია, რომელშიც აშკარად გრძნობდა ქართულ გავლენას.

ნათელა ფოცხვერია Georgian Infusion-ის დამფუძნებელი და კურატორია. მისი ჟურნალისტური ბიოგრაფია მოდას და ხელოვნებას მჭიდროდ უკავშირდება. თანამშრომლობდა ისეთ გამოცემებთან, როგორიცაა: Kommersant, Marie Claire, Interview (magazine).

ქართულმა საზოგადოებამ კი იგი გაიცნო ბლოგით „ნათელი თბილისი“, რომლის მთავარი მისიაა, აჩვენოს ტურისტებს „არა სუვენირული“ საქართველო, არამედ ის ქვეყანა, რომელსაც დიდი ისტორია, კულტურა და მკაფიო იდენტობა აქვს.



ნათელა ფოცხვერია, Georgian Infusion-ის დამფუძნებელი
Natela Potskhveria, founder of Georgian Infusion

National costume is more than mere clothing: it is history that was once an integral part of the daily lives of our ancestors. Stories told through ornaments and hand-stitched details reflect the core of our identity.

Numerous unique specimens of Georgian national dress are preserved within the repositories of the Simon Janashia Museum of Georgia, each requiring specialized care and research. The project Georgian Infusion is dedicated to caring for this heritage, restoring it, and making it a part of modern Georgia’s everyday life, granting a “second life” to garments that have become museum exhibits.

WHAT IS GEORGIAN INFUSION?

The mission of the Georgian Infusion Foundation is to protect, research, and popularize ancient clothing and textile heritage in Georgia. Their activities span the fields of museology, fashion, and education. The project is supported by the Ministry of Culture of Georgia and LEPL Creative Georgia.



ანია მარჩენკო, სცენოგრაფი
Ania Marchenko, scenographer

The name of this national project, aimed at reviving traditional Georgian attire, does not have a literal translation, but “Infusion” is the most fitting term, as it suggests the exchange and merging of molecules. Furthermore, “infusion” also refers to a blood transfusion, implying the metaphorical transfusion of “Georgian blood” into the cultural landscape.

The idea belonged to Natela Potskhveria long ago, though work on the project officially began in 2023. Years earlier, the blogger and journalist decided she wanted to bring a Chanel collection to Georgia in which she clearly felt a distinct Georgian influence.

Natela Potskhveria is the founder and curator of Georgian Infusion. Her journalistic career is closely tied to fashion and art, seeing her collaborate with publications such as Kommersant, Marie Claire, and Interview. The Georgian public knows her through her blog “Bright Tbilisi” (Nateli Tbilisi), whose mission is to show tourists a “non-souvenir” Georgia: a country with deep history, culture, and a clear identity.



ნათელა ფოცხვერია
Georgian Infusion-ის დამფუძნებელი და კურატორი:

„პროექტ Georgian Infusion-ის მთავარი მიზანია, ჩვენ, ქართველებმა, სხვა თვალით შევხედოთ ჩვენს მემკვიდრეობას და სრულყოფილად გავიაზროთ მისი შინაარსი. ასევე, ჩვენი ამოცანაა ხაზგასმამა, რომ საქართველო ყოველთვის იყო, არის და იქნება საერთაშორისო კონტექსტის მნიშვნელოვანი მოთამაშე“.

Natela Potskhveria
founder and curator of Georgian Infusion:

“The main goal of Georgian Infusion is for us, Georgians, to look at our heritage through a different lens and fully grasp its substance. Additionally, our task is to emphasize that Georgia has always been, is, and will remain a significant player in the international context.”



ქართველი მამაკაცის ჩაცმულობა, XIX ს.-ის ბოლო
Georgian man's attire, late 19th c.

იდეა 2017 წელს დაიბადა

ყველაფერი გაცილებით ადრე დაიწყო. China: Through the Looking Glass – ასე ერქვა ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმში გამართულ გამოფენას, სადაც 2015 წელს ნათელაც მოხვდა. გამოფენა ეძღვნებოდა ჩინეთის გავლენას მსოფლიო მოდაზე. ჩინური ნახატები, ლარნაკები, ფერწერა მოდურ, ტრენდულ სამოსთან ერთად იყო გამოფენილი.

ექსპოზიცია ასახავდა აღმოსავლეთის ენიგმატური ობიექტებისა და სურათხატების გავლენას მაღალი მოდის დიზაინერებზე – პოლ პუარესა თუ ივ სენ-ლორანზე. სწორედ ეს გამოფენა გახდა ნათელა ფოცხვერიასთვის ინსპირაცია: „მივხვდი, რომ ასე მინდა საქართველოზე მოვყვე და ეს იქნება ძალიან მაგარი“.

პარალელურად, იგი ყოველთვის ეძებდა ქართულ კვალს მსოფლიო მოდაში. მუდმივად უწევდა ბრძოლა იმის დასამტკიცებლად, რომ მერი შერვაშიძე რუსი კი არა, ქართველი არისტოკრატი იყო. ნიუ-იორკის გამოფენამ შთააგონა, თუ როგორ უნდა მოეთხრო მსოფლიოსთვის საქართველოს შესახებ. ეს მოდის უნივერსალური ენა იქნებოდა, რომელიც ყველას ერთნაირად ესმის.

დიდი გამოფენის მოწყობის იდეა ნათელა ფოცხვერიამ ეროვნული მუზეუმის დირექტორს, დავით ლორთქიფანიძეს გაუზიარა.

ნათელა ფოცხვერია: „ალბათ ამ ისტორიის მთავარი ნაწილი ჩემი არაფერზე დაფუძნებული თავდაჯერებულობაა. არც ცოდნა მქონდა, არც ბაზა, უბრალოდ, იყო გამოფენის გაკეთების უდიდესი სურვილი.“

ასე თამამად მივადექი ეროვნული მუზეუმის დირექტორს, დავით ლორთქიფანიძეს და ვუთხარი – აი, მაქვს იდეაც, კონტაქტებიც და მოდით, გავაკეთოთ ეს. პროექტი ძალიან მოეწონა და მხარი ამიბა. როცა გჯერა, ისეთ რაღაცებს აკეთებ, რის გამოც შესაძლოა სხვას, უბრალოდ, გიჟი ეგონო...“

ასე მისწერა ერთ ცნობილ სცენოგრაფს ანია მარჩენკოს, რომელიც 30 წელზე მეტია პარიზში ცხოვრობს. თავის მხრივ, ანიამ დააკავშირა გაელ მამინს, კურატორს, რომელიც წლების განმავლობაში „ბალენსიაგას“ მემკვიდრეობის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.



ქართლელი ქალის ჩაცმულობა, XIX ს-ის ბოლო
Woman's attire from Kartli, late 19th c.

AN IDEA BORN IN 2017

Actually, it all began even earlier. In 2015, Natela visited the Metropolitan Museum of Art in New York for the exhibition China: Through the Looking Glass. The exhibition explored China's influence on global fashion, displaying Chinese paintings and vases alongside trendy, high-fashion garments. It illustrated how enigmatic Eastern objects influenced designers like Paul Poiret and Yves Saint Laurent. This exhibition served as Natela's inspiration: "I realized I wanted to tell the story of Georgia in this way. I knew it would be incredible."

In parallel, she found herself always searching for evidence of "Georgian" in the world's fashion, and constantly fighting to prove that Mary Shervashidze was a Georgian aristocrat, not a Russian one. The New York exhibition showed

Natela that the universal language of fashion was the best way to tell Georgia's story to the world. She shared the idea of organizing a major exhibition with David Lordkipanidze, the Director of the National Museum.

Natela Potskhveria: "Perhaps the most important part of this story is my unfounded confidence. I had neither the specific knowledge, nor the base: just a massive desire to make this exhibition happen."

I boldly approached David Lordkipanidze and told him: "Look, I have the idea and the contacts, let's do this." He liked the project and supported me. When you believe in something, you do things that might make others think you're crazy..."

Natela reached out to Ania Marchenko, a renowned scenographer who had been living in Paris for over 30 years. Ania, in turn, connected her with Gaëlle Mamin, a curator who had headed the heritage department at Balenciaga.



ხევსური მამაკაცის ჩოხა, XIX ს.
Khevsur man's chokha, 19th c.



ანია მარჩენკო,
სცენოგრაფი:

„Georgian Infusion-თან თანამშრომლობა ჩემთვის იყო უნიკალური შესაძლებლობა, გამეცნო ქართული მატერიალური კულტურა როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე ქრილში. აქვე გამოვყოფდი იმ შესანიშნავ გუნდს, რომლის საქმისადმი ერთგულება და გამბედაობა ჩემთვის განსაკუთრებით ემოციურია...“

ჩვენმა თანამშრომლობამ სათავე დაუდო კიდევ უფრო ფართო და მნიშვნელოვან მოვლენას – მუდმივი ეთნოგრაფიული გამოფენის იდეას საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. სწორედ ამ იდეამ აღმაფრთოვანა...“

Ania Marchenko,
Scenographer:

“Collaborating with Georgian Infusion was a unique opportunity for me to get to know Georgian material culture in both a historical and modern light.

“Our collaboration gave rise to an even broader and more important event: the idea of a permanent ethnographic exhibition at the National Museum of Georgia. It was this idea that thrilled me.”

2023 წელს გაელი და ანია თბილისს ესტუმრნენ. სწორედ იმ პერიოდში მოდის კვირეული იმართებოდა და მათ ბევრი გაიგეს ქართული მოდის შესახებ. შეხვდნენ გულიკო კვანტიძეს, ეროვნული მუზეუმის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კოლექციების მთავარ კურატორს.

მან დაადასტურა, რომ ქართულ ეროვნულ სამოსსა და მაღალი მოდის კოლექციებს შორის მართლაც ბევრი პარალელი არსებობს. თუმცა აქვე აღმოჩნდა ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა – მუზეუმებში დაცულ ტექსტილის ბევრ ნიმუშს რესტავრაცია სჭირდებოდა.

გამოწვევები, როგორც მოტივაცია

ახალი გამოწვევები სულ უფრო მკაფიოდ იკვეთებოდა – უნიკალურ მემკვიდრეობას მიხედვა და მოვლა სჭირდებოდა. როცა ეროვნული სამოსის რესტავრაცია გადაწყდა, აღმოჩნდა, რომ არ არსებობს სახელოსნო...

დაისვა კითხვაც, ვინ უნდა იმუშაოს სახელოსნოში და გაირკვა, რომ საქართველოში სულ რამდენიმე ოქროსხელეა რესტავრატორია, მაშინ როცა დაზიანებებისგან „განკურნება“ ათასობით სამოსს სჭირდება. უმაღლეს სასწავლებლებში კი ამ მიმართულების პროგრამა არ არსებობს. ამის გამო მუზეუმებში დაცული ათასობით ტექსტილის ნიმუში სათანადო მოვლის გარეშე რჩება.

გულიკო კვანტიძე,
ეროვნული მუზეუმის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კოლექციების მთავარი კურატორი:

„გამოიკვეთა ის დიდი პრობლემა, რასაც ეროვნული სამოსის დაზიანებები ჰქვია. ავთენტიკური სამოსი, სულ ცოტა, 100 წელს ითვლის. მოგეხსენებათ, აქ საუბარია არა რკინაზე ან მეტალზე, არამედ ტექსტილზე.

რაც არ უნდა კარგად იყოს დაცული ქსოვილი, მას დრო თავისით აზიანებს. ამ დაზიანებებმა და ერთობლივად ფიქრმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ საჭიროა შესაბამისი სახელოსნო.“

In 2023, Gaëlle and Ania visited Tbilisi during Fashion Week. They met with Guliko Kvantidze, the head curator of the history and ethnography collections at the National Museum.

She confirmed that many parallels exist between Georgian national costume and High Fashion collections. However, a major problem surfaced: many textile samples in the museums were in desperate need of restoration.

OBSTACLES AS MOTIVATION

As the need for restoration became clear, a new crisis emerged: there was no specialized workshop. Furthermore, it turned out there were only a few “golden-handed” restorers in Georgia capable of such delicate work, while thousands of garments needed “healing.”

Since there are no higher education programs for textile restoration in Georgia, thousands of museum samples remained without proper care.


Guliko Kvantidze,
Chief Curator of the History and Ethnography Collections at the National Museum:

“The massive problem of damage to national costumes became evident. This authentic clothing is at least 100 years old. We aren’t talking about iron or metal, but textile.

“No matter how well a fabric is protected, time takes its toll. This led us to the conclusion that a proper workshop was necessary.”



ქართული კაბის
სარტყელი,
XIX ს-ის ბოლო
Belt for a Georgian dress,
late 19th century



სარესტავრაციო სახელოსნო

გაირკვა, რომ უპირველესად თავად მემკვიდრეობის დაცვა იყო საჭირო. ასე გაჩნდა ქსოვილის რესტავრაციის სახელოსნოს შექმნისა და ამ სფეროში ახალი სპეციალისტების მომზადების იდეა. 2025 წელს, კულტურის მინისტრ თინათინ რუხაძესთან შეხვედრის შემდეგ, პროექტის ახალი ეტაპი დაიწყო – ინიციატივამ სახელმწიფო მხარდაჭერა მიიღო. ასე გადაიქცა ერთი იდეალისტური ჩანაფიქრი უფრო ფართო მიზნად – შექმნილიყო სისტემა ქართული ტექსტილის მემკვიდრეობის დასაცავად.

„მიუხედავად იმისა, რომ პროცესს წინ ბევრი წინააღმდეგობა უძლოდა, ისე უცებ მივიღეთ დადებითი პასუხი და ისე სწრაფად აინთო მწვანე შუქი, რომ არც მე მჯეროდა და არც მუზეუმს...“ – იხსენებს ნათელა.

სამინისტროს მხარდაჭერით, ქართველი და უცხოელი სპეციალისტების ძალისხმევით შედგა, ტექსტილის პროფესიული რესტავრაციის სახელოსნო უკვე გაიხსნა. სახელოსნო-ლაბორატორია ისტორიული სამოსის მუდმივმოქმედი, საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული კონსერვაციის სივრცეა. ის სიმონ ჯანაშიას მუზეუმის ბოლო სართულზე განთავსდა.

როგორც გულიკო კვანტიძე ამბობს, პროფესიონალურ რესტავრაციას სამი რამ სჭირდება: მასალა, მარჯვე ხელები და გონივრული მიდგომა. სახელოსნო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და სამი ზონისგან შედგება: მშრალი წმენდის ზონა, სადებინფექციო ზონა (სადაც სპეციალური მაცივარიც მოიპოვება) და სველი წმენდის ზონა, სადაც ნივთებს შეღებავენ.



THE RESTORATION WORKSHOP

In 2025, after a meeting with the Minister of Culture, Tinatin Rukhadze, the project received state support. What began as a dream became a systematic goal to protect Georgian textile heritage. In this way, a single idealistic vision transformed into a broader goal: to create a system for the protection of Georgian textile heritage.

“Despite the many obstacles that preceded the process, we received a positive answer so suddenly, and the green light was given so quickly, that neither I nor the museum could quite believe it...” Natela recalls. With the Ministry’s support and the efforts of Georgian and international specialists, a professional textile restoration workshop has now opened on the top floor of the Simon Janashia Museum.

According to Guliko Kvantidze, professional restoration requires three things: material, skilled hands, and a wise approach. The workshop is divided into three zones: the Dry Cleaning Zone, the Disinfection Zone (including a specialized refrigerator), and the Wet Cleaning Zone, where items and threads are dyed to match the original colors.

Guliko Kvantidze: “Some might say we already have great masters and don’t need foreigners. But we only have a handful of restorers across the whole of Georgia. Seven restorers work at the National Museum. Can seven people bring life back to thousands of authentic garments? It’s physically impossible.”

It was decided that we needed to train restorers and create a corresponding educational program.

ყველა რესტავრატორმა იცის, რომ ნივთისთვის მეორე სიცოცხლის დაბრუნების დროს ლებვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საღებავები საჭიროა იმ ფერის ძაფების მისაღებად, რომლებითაც შემდეგ ამა თუ იმ ნივთის რესტავრირება უნდა მოხდეს.

გულიკო კვანტიძე: „ბევრი იტყვის, ჩვენ უკვე გვყავს არაჩვეულებრივი ოსტატობის მქონე ქართველი რესტავრატორები და რა საჭიროა უცხოელების ჩამოყვანაო. მთელი საქართველოს მასშტაბით სულ თითზე ჩამოსათვლელი ოქროსხელება რესტავრატორი გვყავს, ეროვნულ მუზეუმში შვიდი რესტავრატორი მუშაობს, ავთენტიკური სამოსი კი უამრავია... შესაძლებელია შვიდმა ქართველმა რესტავრატორმა სიცოცხლე დაუბრუნოს ქართულ ეროვნულ სამოსს?! ეს ფიზიკურად შეუძლებელია...“

გადაწყდა, რომ საჭიროა რესტავრატორების მომზადება და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა.



თამო ხუფენია,
გამოფენის პროდიუსერი:

„წელს უნდა დაიწყოთ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს ქსოვილის რესტავრაციის ახალი ტექნიკების შესწავლას. ეს ყველაფერი ჩვენი ფრანგი კოლეგების დახმარებით მოხდება. მათთან ერთად, ქართველი რესტავრატორებიც ჩაატარებენ მასტერ-კლასებს. სამწუხაროდ, ამ დროისთვის ტექსტილის მიმართულებით საქართველოში არ არსებობს რესტავრაციის სასწავლო პროგრამა. ეს იქნება ახალი და პირველი გამოცდილება“.

Tamo Khufenia,
Exhibition Producer:

“An educational program is to open this year, covering the study of new textile restoration techniques, set up with the support of our French colleagues. Georgian restorers will also offer masterclasses. Unfortunately, there’s no existing restoration training program for textiles in Georgia, so this will be a brand-new and first-of-its-kind experience.”





საგანმანათლებლო პროგრამა

ტექსტილის რესტავრაციის სასწავლო პროგრამის შესაქმნელად Georgian Infusion-ის გუნდმა პარიზიდან მოიწვია პარიზის „პალე გალიერას“ წამყვანი რესტავრატორი ანასტასია ოზოლინი.

პროგრამა მოიცავს საერთაშორისო ექსპერტების მასტერკლასებს და საგანმანათლებლო კურსს; ასევე, პრაქტიკული რესტავრაციის ციკლებს, საერთაშორისო სტაჟირებას, ტექნიკური მონიტორინგის მისიებს. პროგრამის მიზანია, საქართველოში ტექსტილის რესტავრატორები ფლობდნენ ნივთისთვის შესაბამისი საღებავების შექმნის/შერჩევის, რეცხვა-გასუფთავების, სტაბილიზაციისა და დოკუმენტირების ტექნიკებს, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ასევე, დამოუკიდებლად ახორციელებდნენ რთული სტრუქტურის ტექსტილის რესტავრაციას.

ნათელა ფოცხვერია: „ფონდებში ნანახი მასალის ფონზე ანასტასიამ შექმნა საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს „პალე გალიერას“ ფრანგი სპეციალისტების რამდენიმე მასტერკლასს. მანვე დაწერა გეგმა, როგორი უნდა ყოფილიყო სარესტავრაციო სახელოსნო ყველა საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებით. ვინაიდან ქართველ სპეციალისტებს საგანმანათლებლო პროგრამის ჩამოყალიბების გამოცდილება არ ჰქონდათ, საჭირო იყო ადამიანი, რომელსაც აკადემიური პროგრამის წერის გამოცდილება ექნებოდა. გაზაფხულზე უკვე გამოვაცხადებთ მიღებას“.

ანია მარჩენკო: „საქართველოს მრავალფეროვანმა გეოგრაფიამ და მისმა მდებარეობამ კულტურათა გზაჯვარედინზე მასალების, ტექნიკისა და ორნამენტების განსაკუთრებული ენა შექმნა. თითოეული სამოსი და ქსოვილი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ისტორიის ცალკეული ფრაგმენტი. მოხიბლული ვარ სვანური ტანსაცმლით. მასში გამოყენებული თექის მასალა და ექსტრემალურ კლიმატურ პირობებთან ამ მასალის მორგება, უბრალოდ, გასაოცარია. რაც შეეხება ფერებს, გეგონება, რომ ისინი პირდაპირ ლანდშაფტიდან არის აღმოცენებული...“

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში მცხოვრებ ეთნოსებს ერთმანეთის მსგავსი ტანსაცმელი ეცვათ, არსებობს მოსაზრება, რომ კონკრეტულად ჩოხა ქართულ წიაღშია შექმნილი და არცერთ სხვა ეთნოსს ასეთი სამოსი არ შეუქმნია.



ხევსური ქალის ტალავარი, XIX ს. Khevsur woman's talavari (traditional dress), 19th c.

EDUCATIONAL PROGRAM

To address the lack of specialists, the Georgian Infusion team invited Anastasia Ozoline, a leading restorer from Palais Galliera in Paris, to create a textile restoration curriculum.

The program includes masterclasses from international experts, practical restoration cycles, international internships, and technical monitoring missions. The goal is to train Georgian restorers in the latest international standards of cleaning, stabilizing, documenting, and dyeing complex textiles.

Natela Potskhveria: “Inspired by the materials found in the archives, Anastasia created an educational program that includes several masterclasses to be given by French specialists from Palais Galliera. She also drafted a plan for what the restoration workshop should look like, keeping to all international standards. Since the Georgian specialists lacked experience in establishing such a program, we needed someone with expertise in writing academic curricula. Admissions will be announced this spring.”

ამის არგუმენტად რესტავრატორ გულიკო კვანტიძეს ქართულ ეკლესია-მონასტრებში ფრესკებზე გამოსახულ ქტიტორთა ჩაცმულობა მოჰყავს.

გულიკო კვანტიძე: „ქტიტორთა ჩაცმულობა, ერთი ერთში, მოხაზულობით ჩოხის სილუეტს იმეორებს. ამ ჩოხას XVIII საუკუნეში დაემატა საქილეები (სამასრეები). ამ დროს, როცა ქართველი მამაკაცები წელში გამოყვანილ, ქვემოთ კალთებში ოდნავ გაშლილ სამეფო კაბებს ატარებდნენ, კავკასიაში მცხოვრებ სხვა ეთნოსებს ეცვათ მთლიანად, თავისუფლად მდგომი ხალათები. ჩვენი ისტორიული ხაზი სწორედ ამას ამბობს“.

ნათელა ფოცხვერიას აზრით, ერის გენეტიკური გემოვნების უპირველესი საფუძველი ეროვნული სამოსია, რომელიც ძალზე მრავალფეროვანია. მაგალითად, მიაჩნია, რომ ხევსურული სამოსი არის შედეგრი.

„როცა ჩემი ფრანგი კოლეგა ანასტასია ოზოლინი – რომელსაც ეროვნულ სამოსზე ნამუშევარი აქვს პალესტინის, ისრაელის, საბერძნეთის მუზეუმებში – თბილისში ჩამოვიდა და ხევსურული სამოსი იხილა, კოსტიუმის მრავალფეროვნებამ და ნაქარგობამ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა“.



ხევსური ქალის ტალავარი, XX ს. Khevsur woman's talavari (traditional dress), 20th c.

Ania Marchenko: “Georgia's diverse geography at the crossroads of cultures created a special language of materials and ornaments. I am fascinated by Svan clothing: the use of felt, and how it adapts to extreme climates, is amazing. The colors seem to grow directly from the landscape.”

While many Caucasian ethnicities wore similar clothing, restorer Guliko Kvantidze argues that the Chokha specifically originated in Georgia. She cites images of donors (ktetors) on frescoes in Georgian churches as evidence.

Guliko Kvantidze: “The clothing of church donors perfectly replicates the silhouette of the Chokha. Cartridge holders (mamasrebi) were added in the 18th century. While Georgian men wore tailored “royal dresses” flared at the hem, other Caucasian ethnicities wore loose, free-standing robes. Our historical line shows this distinction.”

Natela Potskhveria considers the Khevsurian costume a masterpiece. When Anastasia Ozoline saw it for the first time, she was stunned by the complexity of the embroidery.

ანასტასია ოზოლინი, „პალე გალიერას“ მთავარი რესტავრატორი, კულტურული მემკვიდრეობის ქსოვილების აღდგენის სპეციალისტი:

„განსაკუთრებით საინტერესოა ხევსურული ტანსაცმელი, რომელიც წარმოადგენს ჯვრებითა და გეომეტრიული ორნამენტებით მორთულ პერანგებს. ზოგ შემთხვევაში ტანსაცმელს ჯაჭვის პერანგის დეტალებიც ახლავს, რაც ქსოვილისა და საბრძოლო ჯავშნის დეტალების ოსტატური შერწყმით უნიკალურ ერთობას ქმნის. ეს კომბინაცია ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ასრულებდა ტანსაცმელი ქართულ კულტურაში ერთდროულად დეკორატიულ და დამცავ ფუნქციას“.

Anastasia Ozoline, Palais Galliera:

“Khevsurian clothing is particularly interesting: shirts decorated with crosses and geometric ornaments. In some cases, the clothing includes details of chainmail, creating a unique union of fabric and battle armor. It shows how clothing in Georgian culture served both decorative and protective functions.”

GEORGIAN INFUSION-ის მომავალი

Georgian Infusion-ის გუნდს ერთი მიზანი აქვს: სამომავლოდ ქართული სამოსი იყოს სათანადოდ დაცული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შენახული, გავრცელდეს ინფორმაცია და მისი ცნობადობა გაიზარდოს საერთაშორისო კულტურულ წრეებში; გარდა ამისა, დიზაინერებისთვის, სტუდენტებისა და მკვლევარებისთვის ხელმისაწვდომი და საინტერესო გახდეს. ამ დროისათვის, სიმონ ჯანაშიას მუზეუმის გარდა, პროექტის ფარგლებში კიდევ ორი მუზეუმის – გორისა და სტეფანწმინდის მუზეუმების ექსპონატების ბაზა გაკეთდა. ზაფხულისთვის იგეგმება მსგავსი ბაზის გაკეთება ონის მუზეუმშიც.

გულიკო კვანტიძე: „ვერცერთ რეგიონს ვერ გამოარჩევ. ყველგან უმნიშვნელოვანესი ნივთებია დაცული. სტეფანწმინდაში არის ფირუზისფერი ორნამენტებიანი მოხევური ზედატანი ირმების გამოსახულებით, რომელიც უიშვიათესი აპლიკაციის წესით არის ნაქარგი. გორში კი არის ულამაზესი სარტყელ-გულისპირიანი კაბები... ასეთ კაბებს გულისპირი ცალკე უკეთდებოდა, სარტყელი და სამკლავურები – ცალკე, ამიტომ ჩვენს წინაპრებს 2-3 კაბა ჰქონდათ და სარტყელ-გულისპირებს უცვლიდნენ ხოლმე. გორის მუზეუმში დაცულ ერთ-ერთ ახალუხზე კი, საათის ჯიბეზე, ნაქარგობებიც ვიპოვეთ, რომელსაც მუზეუმების თანამშრომლები განსაკუთრებით უფრთხილდებიან. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ჩვენი სახელოსნო არა მართო თბილისს ან რომელიმე რეგიონს მოემსახურება, არამედ ყველა ნივთს, რომელიც შველას ითხოვს. სადაც არ უნდა იყოს დაცული ნივთი, ის ქართულია და ჩვენია. ამიტომ ჩვენ ყველანი ვალდებული ვართ, რომ მას მეორე სიცოცხლე დავუბრუნოთ!“

მარიამ გამდლიშვილი, პროექტ Georgian Infusion-ის მენეჯერი, ადმინისტრატორი: „აქამდე არასოდეს მქონია შესაძლებლობა, ასე ახლოს შევხებოდი ტექსტილის ექსპონატებს, მენახა რამდენიმე მუზეუმის ფონდი. უპირველესად, გამოცა თავად ექსპონატების რაოდენობამ. იმის გააზრება, რომ რამდენიმე საუკუნის წინათ ადამიანები ნატურალური ქსოვილისგან და ნატურალური საღებავებისგან სანთლის შუქზე ქმნიდნენ ასეთ ტანსაცმელს და ეს ყველაფერი მსოფლიო მოდის ან იმ სამოსის ინსპირაციად იქცა, როგორსაც დღეს ვხედავთ, არის გასაოცარი. რამდენი სილამაზე, რამდენი სირთულეა ჩაქსოვილი ამ ქსოვილში. მხოლოდ ფერების და ორნამენტების ყურებაც კი გაგაოცებს ადამიანს, როგორ შეიძლება ასე ლამაზად, ასე ჰარმონიულად და ასე ზუსტად შექმნა ეს ყველაფერი...“



სვანი ქალის ზამთრის შესამოსელი
Svan woman's winter clothing

THE FUTURE OF GEORGIAN INFUSION

The Georgian Infusion team aims to ensure Georgian clothing is preserved according to international standards and becomes more visible in global cultural circles. Beyond the Janashia Museum, the project has already created databases for exhibits in the Gori and Stepantsminda museums, with the Oni Museum scheduled for the summer.

Guliko Kvantidze: “You cannot pick just one region. In Stepantsminda, there is a turquoise Mokhebian top with deer imagery sewn with a rare appliqué technique. In Gori, there are beautiful dresses with separate belts and bodices... I am so happy that our workshop will serve every item that cries out for help, regardless of where it is kept. It is Georgian, and it is ours. We are obligated to give it a second life!”

Mariam Gamdlishvili, Project Manager: “I was amazed by the sheer quantity of exhibits. Realizing that, centuries ago, people created such clothing from natural fabrics and dyes by candlelight, and that this has inspired the world fashion we see today, is astonishing. Simply looking at the harmony of the colors and ornaments makes you wonder how it was possible to create something so precise and beautiful.”



მოქალაქის ახალუხი,
XIX ს.
Citizen's arkhalig
(akhalukhi), 19th c.